

140  
1959/3

# 3.0.0.5.9.6.0

5  
1959



# კეთილი



3. ი. ლენინის სახელობის  
ნორკ პიონერთა ორგანიზაციის  
37 წლისთავი

პიონერო, იყავ ღირსი

ზიონერო, იეაუ ღირსი  
ახალ ეოფა-ცხოვრების,  
შენ ხანა არ გაევილია  
ძველი. გამათხოვრების.

მასამ აბობოქრებულმა  
ის ბორკილი დაღეწა,  
რომ ნისლეებს არ დაეპურა  
შენი გამჭვირვალე ცა.

ბრძოლამ ძველი ზამთრის სუსხი  
დაუნდობლად შელახა,  
რომ ნამდვილი გაზაფხული  
შენთვის გადაეხანა.

თოვლიც გადნა, ველად გაჩნდა  
ცისფერ იის ღერები,  
გაზაფხულის ეს მზადმოყოფი  
ნორჩი ზიონერები.

მშენებლობა მოდის ქვეყნად  
ჯერ რომ არსად ნახულა,  
ზიონერო, ეს დღეები  
შენთვის გამოსახულა!

*კეთილი*

«პირველი მაისი»

პლაკატი ირ. ვორდელაძისა

# გაიხსენა



# პ ი თ ე ნ ე რ ი

საქართველოს ალკა  
ცენტრალური კომიტეტისა  
და ვ. ი. ლენინის  
სახელმწიფოს დროს  
პრონაშობა ორგანიზაციის  
კამპანიაში საბავშვო  
ყოველთვიური საბავშვო  
ჟურნალი

7777

## 5

მაისი  
1959

საბავშვო ჟურნალი  
XXXIII

რედაქტორი რევაზ მარჯანიანი  
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე,  
რ. ელანაძე, შ. ლეზანიძე (პ/მ, მდივანი),  
მარიჯანი, რ. ქორჭია, გ. ფოცხვილი  
(სამხატვრო რედაქტორი).

ს ა ბ ლ ი ტ ვ ა მ ი

### შინაარსი

გალაქიონ ტაბიძე—პიონერო, იყავ ღირსი (ლექსი)	გარეკ.	28
მიხეილ გორგილაძე—მისის განთიადი (მოთხრობა)		2
გალაქიონ ტაბიძე		6
შალვა დადიანი		7
ვლადიმერ თორდუა—გულის შუქი (დოკუმენტური მოთხრობა)		8
უნგრელი პიონერები (ფოტონარკვევი)		16
ვახილ ლაფერაშვილი—მაიაკოვსკი და პიონერები (წერილი)		18
მოსწავლეთა შემოკმედეგა		19
მარიან ბრანდისი—ბიჭი მატარებლიდან (მოთხრობა, პოლონურიდან თარგმნეს ბ. ჯაფარიძემ და ს. რავეჩმა)		20
რა ვიცითხოთ		22
სიმონ შამფრიანი—გმირი ქალიშვილის სახელობისა (ნარკვევი)		22
პატარა ზღაპრები		25
შოთა ძიძგური—დამწერლობის წარმოშობა (წერილი)		26
ტექნიკის სამყაროში		28
საინტერესო თემაზე		28
ზურაბ ლეშაშვილი—ასე იბრძვიან! (საუბარი)		29
სიმონ ციქურიშვილი—როგორ ვიმეგობროთ ოქტომბრულუბთან (საუბარი)		30
მოკლე ჟგერაფერზე		32
გასართობი		32
იუმორი	(გარეკანის)	3
გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა—დ. ნოდარის და თ. სამსონაძისა. გარეკანის მეორე გვერდზე—სამისო პლაკატი—ირ. გორდელაძისა.		
ჟურნალი დასურათებულია: გ. გელოვანის, უ. ჯაფარიძის, გ. თოთიბაძის, ჯ. ლოლუას, რ. ცუცქერიძის, შ. ახობაძის, ე. ამბოკაძის და გ. ფოცხვილის მიერ.		







მისილ მორილაჲ

ნახ. გ. გელოვანისა

# გაიოსს განთიადი

(მ ო მ ნ რ ო ზ ა)

ღარბთა უბანში სასიხარულო არაფერი ჰქონდათ. ვიწრო შუქები ტალახიანი იყო, ფიცრული ქოხები—ფარალალო, ღამეები—შავი და ღღები—ნაცრისფერი. დიდას და პატარას ტილოს ტანსაცმელი ეცვა.

ნიაზი და მისი ამხანაგები ბედს დიდად არ ეძღურებოდნენ, უხეირო ცხოვრებაში სასიხარულოს მაინც პოულობდნენ. ეს მათ, როცა უფროსებს ზღვაზე სახანაოდ მიჰყავდათ. იყო უფრო დაუვიწყარი ღღებიც, როცა ბიჭებს საღვთისწავლოდ შემონახულ წითელ წულებს, თერ შარვლებს ჩააცმედნენ და ქალაქში გაატარებდნენ.

ნიაზი არც შინ იყო მოწყენილი; ბავშვებს შეპყრობდა და თამაშობდა. ესეც არ იყოს, მათ ეზოს დიდი ქუჩა ჩაუდოდა. ის ქუჩა სოფელს სასაფლაოსთან აკვეთებდა ქალაქს. ევგენის წერიალთ აღმა-ღამა ღარიქიჭებდნენ ეტლში შემხული ცხენები. მეთვლები აღარ წყრებოდნენ; შერეული იყვნენ იმ ზარს, რომ უკანა თვლების ღერძზე შემოხსნდარ ქუჩის ონკანებს მაინც ვერაფერს დააკლებდნენ.

რვა წლის ნიაზი ქალაქის ოთხკლასიან სკოლაში მხაზარეს. დედამ ჩანთა შეუკრა, მამამ რვეულები და ნახშირი წიგნი უშოვა. წიგნის ყდაზე პატარა გოგონა, ბიჭუნა და მერცხლები იყო დახატული. ნიაზმა დამარცხვით ამოკითხა „დე-ღა-ენა“. მაგრამ სკოლაში სახელი დაუწუნეს, ნიკოლოზი დაარქვეს. სასწავლო ოთახში ადგილი ბოლო მერცხე მიუჩინეს, წინ ღამაზად ჩაცმული ბავშვები იხსდნენ, რომელთაც თავი ამაყად ევირაო, ჯიბეში კი ვერცხლის ფულებს აჩხრიალებდნენ.

ყოველ დღით ნიაზი იმ დიდ ქარხანასთან ჩაივლიდა, სადაც მამა მუშაობდა. ბიჭუნამ იცოდა, რომ

ის ქარხანა ვიღაც მანთაშეგს ეკუთვნოდა. იმ კაცს კაპიტალისტს ეძახდნენ, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი ფული ჰქონდა.


ასე გაგრძელდა სამ წელიწადს, ესე იგი მანამ, ვიდრე მუშები ფაბრიკა-ქარხნებს მოატოვებდნენ, ვიდრე საყოველთაო გაფიცვას გამოაცხადებდნენ. გაფიცულებში ქალაქში წითელი ბაიარლებით დადიოდნენ და ერთხმად „ინტერნაციონალს“ მღეროდნენ.

გაფიცვა გრძელდებოდა, ქარხნები დუმდა. მამა მთელი დღით საღვთს ქრებოდა, ხან გვიან დამით ვიღაც ძიები მოჰყავდა და მათთან ერთად კამათობდა. ნიაზი მთელი ოთახში აწვა, მაგრამ როდი ეძინა, თავზე სახანი ყახიდად ჰქონდა წახურული. სულგანაბული ცდლობდა ყოველი სიტყვა გაეგონა. ოცნებით იქ იყო, სასადილო ოთახში. ხედავდა მავადის ორგველი მსხლეტ, ძარღვმაგარ, შეუპოვარ, მრისხანე ძიებს, რომელთაც საღვთს იარაღი ჰქონდათ დამალული და მზად იყვნენ ბოროტებას თავგანწირვით შემბრძობებოდნენ.

ბიჭუნა ბედნიერად თვლიდა თავს, რომ ასეთი დიდი ამბების მოწამე იყო. რამდენიმე ამხანაგე აიყოლა, სკოლიდან გაიპარა და კოლონას გაჰყვა. არასდროს ენახა ამდენი ხალხი, ასე გაღვიძებული ქალაქი. წვიმდა, მაგრამ კოლონას არავენ გამოჰყვებოდა, თითქოს ქუჩებში უჩინარი ცეცხლით იყო გამოთბარი. მეორე დღეს ნიაზს სკოლაში არ დაუფარავს, რომ „ინტერნაციონალი“ და „მარხელიენა“ იცოდა, რომ გუშინ გაფიცულებთან ერთად შვარჯშელთა რედაქციის ფანჯრებს მანაც დაუშინა კვები.

შესვენების დროს ფრაქში გამოწყობილი, სათვალეებიანი, წოწოლა მაღალკლასელი გამოჰქიმა.





— მაშ, შენ „ინტერნაციონალს“ მღერი?  
 — ვმღერი, მერე შენ რა?—ჯეჭური გაუჩერდა ნიაში.  
 — ის, რომ ახლა სხვაგვარად ავამღერებ, საღაბა-  
 ნავს—შეპლრინა წოწოლამ და ვაშლილი ხელი სახეში  
 გაართვა.

ნიაში დაბარბაცდა, მერხს მიხეთქა, მოხლებში  
 ჩაიკეტა. თავი ობრუოდა, სახე უხრდა. მისიერიკთა  
 დამცინავ ხარხ. მოლონებიდან გამოჰყავდა. ცრემლი  
 არ გადმოვარდნია. შეებრძოლოს? მაგრამ რას დააკ-  
 ლებს—უფროსია, სხვებიც მიეშველებიან. ოჰ, ქვა  
 მაინც ჰქონდეს, თუმცა... სხვებისათვის შეუმჩნევლად  
 ქამარი შეიხსნა, სწრაფად წამოხტა, ქამარს მიძიმე აბ-  
 ზინდი მთელი ძალით სახეში გაართვა. წოწოლამ ერთი  
 კი იღრიალა და უგრძნობლად იატაკზე გაიშხლართა.  
 ნიაშიმ დრო იხლთა, ფანჯარა ხელის ცკრით გაა-  
 ლ და ბაღში გადახტა.

ამის შემდეგ სკოლის კარები აღარ შეუღია.

ქალაქში კი მდგომარეობა უფრო დაძაბული ხდებოდა. გაფიცვები რკინიგზასა და ფოსტას მოედო. ქუჩებში აქა-იქ სროლა ისმოდა. გარეუბნამდე ხმა მოვიდა, კაზაკებს იარაღი აბყარესო, ვიღაცას ბოში ეხროლებს, მაგრამ არ აფეთქაო.

ყველაში რაღაც განსაკუთრებულს მოელოდნენ. ნაშუადღევს ბაზრის მხარეს გაისმა სროლა. სროლა თანდათან გაძლიერდა. განვაშმა მთელი ქალაქი მოიცვა. დამით სახლში ადღეღვეთული მამა მოვარდა.

— კაზაკებმა უდანაშაულო ხალხი დახოცეს, რამდენიმეს სახლ-კარი გადაუწვეს. ქალაქი ბარიაკდებით დაიფარა. ბრძოლა იწყება.—სარდაფიდან მძიმე ჩანთა ამოიტანა და სიბნელებში გაუჩინარდა. ნიაში მიხვდა, რომ მამას ვაზნები მიჰქონდა.

მთელი დამე სროლა არ შეწყვეტილა.

დღითი ქალაქიდან მიეხოლის ბიჭმა მოიხრინა. ჩვიდმეტი წლის იყო და უკვე თოფი ეჭირა. ბიჭმა მთელი უბნის ვახაჩონად დიძახა: „აჯანყება დაიწყო, ქალაქი ჩვენს ხელთ არის, გაუბრნაბორი ქუჩაში ცხვირის გა-მოუფხავს ვერ ბედავსო.“

ნიაში ძალიან უნდოდა ენახა რა არის აჯანყება, როგორია გამარჯვებული ქალაქი და ხალხი, მაგრამ დედა წინ აღუდგა.

ნაშუადღევს ქალაქის მხრიდან ისეთი გუგუნე მოიხსნა, თითქოს ზღვას გადმოუხეთქოს. ნიაში და მისი ამხანაგები ხალხის ნაკადს მიჰყვნენ, წინ გაძვრნენ, მედროშეებს გვერდში ამოუდგნენ. გზადაგზა გაიგეს, რომ მუშები თავიანთ ამხანაგებს მიახვეწებდნენ, რომ ლედიც კაზაკებთან შეტაკებაში დაიღუპნენ.

სასაფლაოზე ცხედრები ერთად დასვენეს. რამდენიმე ძამ ხმამაღლა, ყველას გასაგონად ილაპარაკა. ხალხი კი გუგუნით პასუხობდა: „ფიცავთ! ფიცავთ!“

როცა ცხედრები ჩაასვენეს, თოფები გაისროლეს. ენდარმები ახლოს მოსვლას ვერ ბედადნენ.

ხალხი სიმღერით ისევ ქალაქში დაბრუნდა.

ნიაში დიდგასთან ერთად მთელი დამე ჩაბნელებული ოთახის ფანჯარასთან იჯდა და მდღევარებით გასცქეროდა წვედრას იქით ბრძოლის კარ-ცეცხლით შეპყრობილი ქალაქი.

მეთოზე დღეს საღვრზე ჯავშნიანი მატარებლის ზარბაზნებმა დაიგრუხუნა. მეწოზლის ბიჭმა ახალი ამბით მთელი უბანი შეაფოთა: გაუბრნაბორს მამველი ძალა მოუვიდა, შვარაზმლებმა ხელი გამოიღესო. დარბობა უბანი შეტყრწუნდა. იქ, ბარიაკდებზე, მათი მამები, ძმები, შვილები იხოცებოდნენ.

შულამისას მამა სახლში ჩემად შემოვიდა. დაქნცული, გაბოროტებული, სისხლით შეღებილი.

— კომიტეტის განკარგულებაა, დროებით ქალაქი დავკავოთ. მე გურიას შევაფარებ თავს. დავბრუნდებით და... მაშინ გლვებხვაც გავეუფლებთ და ჯარისკაცებსაც. დილით, როცა ნიაშიმა გაიღვიძა, მამა აღარხად იყო.

გავიდა ორი წელი. შეიცვალა ბეჩირაძე.

შეიცვალა თვითონ ნიაში. კითხულობდა წიგნებს, უცვირდებოდა მამის ირგვლივ მომხდარ ამბებს. გაიგო, მუშებმ რატომ სძულდაო მევე და ბურჟუები. რევოლუციის დამარცხებით რაღომ ზეიმობდნენ მეფის მომხრეები. ხედავდა, რომ ხალხს ისევ არ ეძინა. ქალაქში ისევ ჩნდებოდა პროკლამაციები, ისევ ისროდნენ, იჭერდნენ და აციმიბირებდნენ.

გურიიდან დაბრუნებულმა მამამ ნიაში სტამბაში მოაწყო. სტამბაში ნიაში იმას აკეთებდა, რასაც დაასაქმებდნენ. გადაჰქონდა შრიფტი, ქაღალდები, თავისუფალ დროს ასოთამყობებსაც შეელოდა, ხელობას სწავლობდა.



ნიაშიმ დრო იხლთა, ფანჯარა ხელის ცკრით გააღო და ბაღში გადახტა.



მამა მაგიდასთან იჯდა. რევოლვერმომარჯვებელი უნტეროფიცერი ჩხრეკას ზედამხედველობდა.

გაწაფხული იჯდა. მაისი ახლოვდებოდა.

არავინ ლაპარაკობდა მაისზე, მაგრამ იგრძნობოდა, რომ მის შესახებ დრად ეშვადებოდნენ. გუბერნატორის განკარგულებით სტამბებს დღე და ღამ უანდარმები ზედამხედველობდნენ. სტამბიდან გამოსულთ ჩხრეკდნენ. შრიფტი მაინც ქრებოდა, ქალაღს მაინც უკლდებოდა.

წუვედაღის საფარქვეშ მამასთან მაინც იკრიბებოდნენ.

კერა დღე იყო, აპრილის ეკანასკნელი დღე. თბილი, ხალიხანი.

ნაცრობმა მენავემ ნიაზი დილით სათვეჯაოდ წაიყვანა. შორს გასკურხს. ზღვა ისეთივე წყნარი და კამკამა იყო, როგორც ცაროცა უკან დაბრუნდნენ, ქუჩაში უკვე ნათურები ენთო.

ნიაზი მარტო დადგა სოუქსუსკენ მიმავალ გზას. ქალაქის განპირას პოლიციელებით სავსე ეტლი წამოიყრა. დალილ ნიაზს აღარ დაუყოვნებია, ეტლს დაედევნა და უკანა თვეღების ღერძზე ჩამოიჯდა. ეტლი რბილად მიიჩრწოდა. თუმცა ნიაზი რბილად არ იჯდა, მაგრამ მაინც სიამოვნებდა ასეთი მგზავრობა.

ეტლი ნიაზის ეწოს კიშკართან გაჩერდა. პოლიციელები აჩქარებით ჩამობტნენ. ერთი შესასვლელთან დადგა, ოთხნი დაუკითხავად სახლში შეიჭრნენ. მოულოდნელობით დაბნულ ნიაზს ვერ გადაეწყვიტა როგორ მოქცეულიყო. „არამზადები, მამარემის დასაპატიმრებლად მოვიდნენ ნამდივლად!“ — გაუელვა ბიჭს.

ნიაზს შინ ყველაფერი თავდაყირა დახვდა. წიგნები, ტანსაცმელი, ლოგინი იატაკზე ეყარა. გაფოტრებული დედა კედელთან იჯდა. მამა მაგიდასთან იჯდა. რევოლვერმომარჯვებული უნტეროფიცერი საზეიმო ნაბიჯით დალიოდა, ჩხრეკას ზედამხედველობდა.

— ნუ გვაწვალემ, უმჯობესია საქმეს დროზე მოვრჩეთ. შენით ჩაგვაბარე პროკლამაციები, ამით სასჯელი შეგიმსუბუქდება!

— მე პროკლამაციები არ მაქვს. — დინჯად უპასუხა მამამ.

— ამჯერად თვალს ვეღარ აგვიხვევ. ვიცით, რომ კომიტეტმა შენ დაგავალა სამაისო პროკლამაციები მომფინო ქალაქს.

— არაფერი მესმის რომელ კომიტეტზე ლაპარაკობ. — გადაწყვეტით უობრა მამამ უნტეროფიცერს.

— ოთახები, ქერი, სარდაფი, საკუქნაოები ლაფის შუქ:



ზე გაჩრკის. გაწილებული, ბრანდორელი უნტერ-ოფიცერი თავს ძლივს იქრდა.

პოლიციებს დედა წინ გადაუდგა.

— აღმზანები არა ხართ? სად მივყავთ უღანაშუალო კაცი?

— უღანაშუალო მამონი იქნება, ხვალ თუ ქალაქში პროკლამაციები მაინც აღმოჩნდა. თქვენ გათენებამდე არ გაბედოთ სახლიდან ფეხის გამოდგმა, თორემ ციხე არ აგდებიათ. ახლა გზა მიგვეცი!—უნტეროფიცერმა დედა კარებს მოპვლივსა და ხელის ცვრით კედელს მიახეჭა.

ეცლის ხმაური მიწდა. წყვილაღში ჩაძირული უბანი მკვდრებს დემსგავსა. კიბხთან მდგარი ნიაში იქით გაპყურებდა, საითაც მანა წაყვანენ.

— გველის წიწილო, — გამოვიდა სიბნელიდან პოლიციელი. — ბრძანება ხომ ვაიფოენ, შეთრიე სახლში.

ბიჭუნამ უმაღლვე კარები ხმაურით ჩაიკეტა. მღელღარებისაგან მისუსტებული დედა მაგილას დაპყრდნობოდა და ქვითინდა.

— ნუ სტრი, ცეცა, დამშვიდდი. — ნიაში ჩურჩულოთ მხარეზე მოხტია. — ნუ დამიძლავ, მამამ პროკლამაციები მოიტანა?

— არ ვცი, შვილო.

— თუ პროკლამაციები შინ აქვს, ხვალ მოვლენ და შეიძლება აღმოჩინონ.

— დმტერი რომ გადმე ვგებედავდეს და, რაღაც ქალაღებია. ვინმე ხვალ ქალაქში მოფანტავდეს, იქნებ მამაშენი გამოშუფან. — მკერცზე ხელის დაცვრით ინატრა დედას.

— ქალაქში მოფანტავდეს? — დრმად ჩაფიქრებულმა ნიაშმა თავისთვის ჩაილაპარაკა. — მაგრამ სად უნდა ჰქონდეს? სარდაღში ვერ აღმოჩინეს, ვერც სახლში. აჰ, — უნებურად წამოიყვირა, თვალები გაუბრწყინდა. — ბოსტანში იქნება, ან მერში, ან ცერცვის ნათესში... დედიკო, შენ დაწევი, მე მივდივარ.

— სად, შვილო? — ფხზე წამოიჭრა, ხელები დაუჭირა დედას.

— ქალაღები უნდა აღმოვაჩინო, შემდეგ კი...

— არ გაბედო, ვერსად გავიშვებ, შეგამჩნევენ, თავსაც დაღუპავ და მამაშენსაც.

— დედა, ბავშვი აღარ ვარ, ცამეტი წლის გავხდი... იცოდ, ჯაკვით რომ დამაბა, მაინც ვერ დამაკავებო..

უკაცურ, წყვილაღით შესუდრულ ქუჩით ქალაქსაკენ მიიქაროდა ნიაში, უბე პროკლამაციებით ჰქონდა სახეს, ხელში თუნუქის ქილა და ჯვარისი ეჭირა. აჰა, გამოჩნდა ღამის ნათურები, მღალი სახლები. გადაჭრა რკინიგზა. საღაღც გოროდვოსის სასტევის ხმა გაისმა. საღაღც ორთქლმავალმა იცივდა, მამლებმა მეროდ იუიღღეს. შუაღამე გადასულიყო უკვე.

და ამოქმედდა ნიაში: ნავსაღდურს ჩაუარა, ზოგან კედელზე გააკრა, ზოგან ქურაში გაფანტა პროკლამაციები.

ღამის გუშავებს თავს არიდებდა, ბნელ კუთხეებზე ეტანებოდა. ეზო-ეზო გადადიოდა. პირველმა მღელღარებმა და შუშმა თანდათან გაუარა. იგი ოცნებით ხედავდა ასეულებს, მთელ ქალაქს, აღმზანებს, რომლებიც სიყვარულით შესქერჩიან გაბედულ ბიჭუნას.

— ყოჩაღ ბიჭუნა, შენ აღარ ხტვრობ.

შემკრათლი ნიაში ერთბაშად შემოტრიალდა. ზურგიო აღარ შეიძლებოდა ქალაღდის დავიანა. ვერც გაქცევის მოასწრებდა — ერთ ნაბიჯზე ახოვანი ჰაბუეი იღდა.

უცნობი არ ცდილა ნიაში დეპირა. არც მისი თვალები იციკრებოდნენ მტრულად.

— შეტო სოფროთიღე გამართებს! ჯერ ქუჩა უნდა დახვევო. რიფა დარწმუნდები, რომ არავინ არის იმოქმედო. ასეთ საქმეში აჩქარება დამღუპველია. აი, მე კარგა ხანია თვალს ვაღვენებ, შენ კი ვერ შემეშინიე. ბებერი გაგჩაჩა?

ნიაშმა პასუხი არ გასცა.

— არ მენდობი? კეთილი. აბა, მიყურე! — ჰბატუნა უბე ვაიხნდა, წვრილი თოქო რკინის პატარა ნაკერზე დამაგრებული წითელი ბაირალი ამოიღო. — დააკვირდი! ზვიეთ ასროლოდ რკინის ნაკერს პატარა დროშა ცეცხლივით მიიჭყვა და ტელეფონის მავთულზე გადმოვიფანა. — იქიდან გაუძნელებდით ჩამოხსნა. ნახე, რამდენი მაქვს! არც ახლა მენდობი? მითხარი, რამდენი დავჩაჩა? — ნახევირა.


ჰბატუნა ნიაში მკერდში ჩაიკრა, სახე დაუკოცნა.

— ქალაღები აქ მომეცი, დანარჩენს მე მოვუვლი. შენ სახლში წადი. ვაგაცილებდი, მაგრამ ორს უფრო შეგავამჩნევენ.

ნიაში წყვილაღმა ჩაყლაპა.

მოლოდინით გაწამებულმა, მღელღარებით მისუსტებულმა დედად დაბრუნებულ შვილს ფანჯარა აცახცახებულად ხელით გაუღო.

ნიაშს ძილი აღარ ეკარებოდა. ბიჭუნა მოლოდინად ელოდა განათიადის დადგომას, რომ ქალაქის სამაისო გავლიძებს ქუჩებში დასწრებოდა.



გარდაცვალებული საქართველოს სახალხო პოეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ქართული საბჭოთა პოეზიის ფუძემდებელი — ვალაკტიონ ტაბიძე. ქართველმა ხალხმა დაპყრობის უსაყვარლესი პოეტი, ქართულ მწერლობას გამოაკლდა სიტყვის უდიდესი ოსტატი, ვინც ნახევარი საუკუნის მანძილზე უტკნობი პოეტური შედევრებით ამდიდრებდა მშობლიურ ლიტერატურას.

ვალაკტიონ ტაბიძე დაიბადა 1892 წელს, ვანის რაიონის სოფელ ჭყვიშოში, სახალხო მასწავლებლის ვასილ ტაბიძის ოჯახში. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მისი მოწაფეობის წლები რევოლუციური აღმავლობის პერიოდში მიმდინარეობდა. რევოლუციური მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდა ქუთაისის მოს-

წავლე ახალგაზრდობა, რომლის მოწინავე რიგებში იდგა ვალაკტიონ ტაბიძე. 1908 წელს, ბაგრატიის ტაძრის ისტორიულ ნანგრევებში, რევოლუციურად განწყობილ მოწაფეთა არაღიგაღურ შეკრებაზე ჭაბუკმა ვალაკტიონმა წაიკითხა თავისი „პირველი მაისი“, რომელშიც რეპუბლიკის ბნელი ძალებისადმი ზოლი და მომავალ გამარჯვებათა რწმენა გამოხატა.

იმავლე ველს ვალაკტიონ ტაბიძე თბილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა და ქართულ ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობასაც შეუდგა. პოეტის პირველმა ლექსებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს. 1914 წელს გამოვიდა ვალაკტიონის ლექსების პირველი წიგნი, რომელიც დიდი მოვლენა იყო მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში. პოეტის შემოქმედებაში მძაფრად აისახა 1905 წლის რევოლუციის დამარცხებით გამოწვეული ხალხის პროტესტისა და უპაქოფილების გრძნობები.

ოქტომბრის რევოლუციას ვალაკტიონ ტაბიძე პეტროგრადსა და მოსკოვში შეხვდა. გულის ხილრემდე



# ვალაკტიონ ტაბიძე

ვანისა და კაცობრიობის განახლების ქარიშხლიანი დღეები და ნაწარმოებთა მთელი რიგი უძღვნა მთ. ასეთებია: „ჯონ რიდი“, „იდეა“, „რამდენიმე დღე პეტროგრადში“. პოეტი აღფრთოვანებული, იმედმოცემული დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ ოქტომბრის რევოლუციას უმაღლეს არ მისყუდოდა ქართველი ხალხის თავისუფლებაზე და მენშევიკური რეპრესიის წლები ერთ ხანს ფრთას აკვედდა პოეტის შემოქმედებით აღფრთოვანებას.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების პირველივე დღიდან ვალაკტიონი უწყობანოდ დადგა გმირული პარტიისა და ქვეყნის განახლების მხარეზე. მისი შთაგონებული ჩანგი მგზნებარედ ეხმაურებოდა

ეპოქის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას, გატაცებით უმდერდა ხალხის შრომას, პირველ ხუთწლეულებსა და ქვეყნის ძლიერების მსველელობას, დიდებით მოხვდა სამამულო ომის სწორკუთხედ გმირებს, ომში გამარჯვებულ სამშობლოს, ხალხთა მშვიდობასა და თავისუფლებას.

რვა ტომი დაგიტოვა ვალაკტიონმა თავისი უკვავი ქმნილებებისა. ჩვენს საუკუნეში, ჯერჯერობით, ასეთი გიგანტური ღვაწლი მგოსანს არ გაუწევია. თავის უზადლო პოეზიით ვალაკტიონმა ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა ფშაველას გვერდით დაიმკვიდრა ადგილი.

ამიტომაც იყო, რომ მაღლიერმა ქართველმა ხალხმა თავისი სახალხო მგოსანი უდიდესი ხიყვარულითა და გულისხმიანობით, ყვაილების მდინარით მიაცილა მათწინდამდე და კლასიკოსების გვერდით დაკრძალა. ქართველ მსწავლეთა გვირგვინიც იყო იმ გვირგვინთა შორის. კვლავაც მივინძვრება მარადწყვენი გვირგვინთ ხელდამშვენებული ახალ-ახალი ნორჩ თაობები ვალაკტიონის სამარხთან.

გვრამან ლეონიძე



ქართველმა ხალხმა მარტვი ზედიზედ ორი ღირსშესანიშნავი შვილი დაჰკარა. დიდი პოეტი, ლექსის გადოქარი გალაკიონ ტაბიძე და გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე შალვა დადიანი. მათმა დაკარგვამ ერთნაირად გული დასწევტა დიდსა და პატარას. მაღლიერმა ქართველმა ხალხმა ორივე მთაწმინდის მიწას მიაბარა.

შალვა დადიანი — მეტად პოპულარული სახელი იყო ჩვენში. მან ოთხმოცდახუთი წელი იცოცხლა და აქედან თითქმის სამოცდაათი წელი მუდმივ შემოქმედებითს წვასა და სამშობლის უანგარო სამსახურში გაატარა.

შალვა დადიანი დაიბადა 1874 წელს, სოფელ ბერთეში (ახლანდელ ცხაკაიას რაიონში). მამამისი ნიკო დადიანი თავისი დროისათვის განათლებული და კულტურული ადამიანი იყო, ოჯახში მშვენიერი ბიბლიოთეკა ჰქონდა. აქ ნახავდით ქართველ, რუს და ევროპელ მწერალთა ნაწარმოებებს, ფილოსოფოსებისა და ისტორიკოსების ნაშრომებს. თითონ ნიკო საზოგადო მოღვაწე იყო და მწერლობასაც ეწეოდა. იგი კარგად იცნობდა ფილა ჰეგელაქის, აკაკი წერეთელს, ივანე მარჩბელს. მის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ მაშინდელი მოწინავე მოღვაწეები და ხალხის საქირბოროტო საქითებზე ბასობდნენ. ასეთმა გარემოცვამ პატარა შალვამ ძალიან ადრე ვაღვიძა საქვეყნო საქმისადმი ინტერესი.

შალვა, როგორც თვითონ მოგვითხრობს, თოთხმეტი წლისა ყოფილა, როდესაც სოფელში ხელნაწერი თურნალი დაურსებია. ამ თურნალში იგი აოავსებდა ლექსებს, პატარა მოთხრობებს, დრამატულ სცენებსა და სტატებს. 1893 წელს, ცხრაშეტი წლის შალვა მსახიობად შევიდა ქუთაისის დრამატულ დასში და სცენაზე პირველი გამოსვლებითვე საზოგადოების ცხოველი უკრადღება დაიმსახურა.

შალვა დადიანის არაჩინველი პიესებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ: „მღვმეში“, „შენი პირიმი“, „გიგეპკორი“, „გუმბიდელინი“ და სხვ. ამ პიესებში მწერალმა დაუხლობლად აშხლა ძველი დროის



## შალვა დადიანი

სოციალური უკუღმართობა. მგვის მოხელეები; თავდაზნაურობა, დამხურავლად გამოეხარლა მშრომლებს.

შალვა დადიანის შემოქმედებითი ენერგია განსაკუთრებით მძლავრად გამოფრჩენა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. პირველი დღეებიდანვე იგი აქტიურად ჩაება ახალი ცხოვრების ფერხულში და მთელი თავისი ძალა და ნიქი სიცოცხლისტური საზოგადოების ზრდაგანვითარებას შეაღდა. შალვა დრამატურგი და მსახიობი, მცირე ფორმის მოთხრობების ავტორი ახლა ცნობილი რომანისტიც გახდა. 1926 წელს მან გამოაქვეყნა პირველი ცრტელი ისტორიული რომანი — „გიორგი რუხის“, რომელშიც ახსხულია თამარ მეფის ეპოქა. ამას მოჰყვა რომანები: „ურდღუმი“, „გვირგვინიანების ოჯახი“ და მრავალი მცირე ფორმის მოთხრობა.

ჩვენს დროში შ. დადიანმა დაწერა მთელი რიგი პიესებისა, რომლებმაც გაამდიდრეს ეროვნული დრამატურგია და ხელი შეუწყეს ჩვენი თეატრის განუხრეღ აღმავლობას. მისმა პიესამ „ნაეპრწყლიდან“, რომელმაც საბჭოთა დრამატურგიაში თითქმის თავისი ეპოქა შექმნა, მთელი საბჭოთა კავშირის თეატრების სცენა მოიარა.

შალვა დადიანი იყო იშვიათი ენერგიის ადამიანი, დაულაღვი მოღვაწე; გარდა მწერლობისა, იგი მუდამ აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ საქმიანობაში; მუხებდავად ხანდაზმულობისა, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ შეუწყვეტია თავისი მრავალმხრივი და ნაყოფიერი მუშაობა.

შ. დადიანი ხალხის წინაშე დიდი დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით. შრომის წითელი დროშის ორი ორდენითა და მედლებით.


შალვა დადიანის ხსოვნა მარად იცოცხლებს ხალხის გულში, ჩვენი ახალგაზრდობის გულში, ახალგაზრდობისა, რომელიც ასე საოთუად უფრობობდებდა და ინახავს წინაპართან შექმნილ ყოველივე ძვირფასს.

პრ. პაპალივილი

# გულის შუკი



გაზეთ „კომუნისტის“ 1958 წლის 26 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ვლადიმერ თორდუას ნარკვევი „დედის ცრემლები“. ნარკვევი შეეხებოდა დიდი სამამულიო ომის კაბუკი გმირის, ომში მონაღიხედ წასული 16 წლის კომკავშირელის — თორ ჩხეიძის პატრიოტულ თავგანწირვას. მის ფაშისტებთან ბრძოლაში სამშობლოს შესწირა ორივე თვალი და ორივე ხელი. ამ მძიმე ჭრილობების მიუხედავად, გმირი დღესაც ჯანსაღად და მხნედ გრძნობს თავს, ერთი დღითაც არ ჩამორჩება ცხოვრებას — მას დღეში ოთხ საათს უკითხავენ წიგნებს, უკრნაღ-გაზეთებს, იგი უსმენს რადიომიმღებს, იმალღებს ცოდნას, განათლებას. მედიცინის უკანასკნელი საშუალებები მიმართულია იმისაკენ, რომ მარცხენა თვალში ოდნავ მაინც დაუბრუნონ მხედველობა, რისთვისაც იგი ხანგრძლივ მკურნალობას გადის მოსკოვსა და ოდესსაში;



ოთარ ჩხეიძე

მკურნალობათა შუალედ პერიოდში ჩამოადის მშობლიურ თბილისში დედ-მამასთან, მეგობრებთან.

სადაც უნდა იყოს, ყველგან,

ყოველთვის გრძნობს იგი სამშობლოს, ხალხის მზრუნველობას, აღამიანების სიყვარულსა და პატრიოტებს.

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულმა ნარკვევმა „დედის ცრემლებმა“ ფართო გამომხატარება პოვა რესპუბლიკაში. მალე მისი გამოქვეყნების შემდეგ გაზეთის რედაქციისაკენ, ავტორისა და გმირის მშობლებისაკენ დაიძრა თორ ჩხეიძის პატრიოტული თავგანწირვით აღფრთოვანებული საბჭოთა აღამიანების წერილები მოთხოვნით — შექმნილიყო უფრო ფართო ტილო თორ ჩხეიძეზე.

მწერალმა ვლადიმერ თორდუამ, თვითონაც ომადახილლმა, გულდასმით შეისწავლა ჩხეიძის საბრძოლო გზა, დიდხანს დაჰყო მასთან მოსკოვში, სადაც გმირი ბოლო ხანებში მკურნალობს, და საინტერესო, ამაღლებელი დოკუმენტური მოთხრობა დაწერა.

მოთხრობას ჩვენი უურნალი მცირე შემოკლებით ბეჭდავს. იგი წელს ცალკე წიგნად გამოვა.

## კვლინობა თორდუა

(დოკუმენტური მოთხრობა)

ნახ. ჯ. ლოლუასი

1

## ნაწილი პირველი

ბედნიერება პატივითაა — როცა სუნთქავ, ვერ ამჩნევ. გრძნობდა კი ოთარი იმ ბედნიერებას, როცა დიდუბის მინდვრებში დანაწარღობდა ტოლებთან ერთად? დროადარო გაიჭიკებოდა ხოლმე მტკვარზე და მხარულით მიარღვევდა მის ხან მღვრიც, ხან ლურჯ ტალღებს; დასდევდა დღით ბებლებს, სალაოშით ციცინათელებს; მტკვრის ნაპირის ქვიშაზე მწოლს მცხვარე მზისაგან ედებოდა შოკოლადის ფერი; დიდუბის პარკში ვერხვის ჩრდილქვეშ მყუდრო მერხზე ჩამოეჯდარი, წიგნზე გატაცებით თავდახრილი, მთელ არსებით ცოცხლობდა წაკითხულით, ხოლო მერე წაკითხულს ცვლიდა ყმაწვილკაცური ოცნება მონაველზე, ფიქრები წაკითხული წიგნის გმირებზე.

ორი ყველაზე საყვარელი და ახლობელი რამ ღვიცო-

და მის ნორჩ გულში როგორც სიხარული, როგორც ამ ცხოვრების სანუკვარი ბედნიერება: სახლი გლდანის ქუჩაზე დღით და მამით, სკოლა ვახუშტის ქუჩაზე — თანაკლასელებით, მასწავლებლებით, კომკავშირული მჭექფარე ცხოვრებით, ხუთიანებით, და მამასადამე, საღლაკ, გულის სიღრმეში, ყრუ სიამაყით... მაგრამ ყველაზე უფრო კი ერთი თანაკლასელის იმ ნათელი, მისთვის განუზგორებელი სახით, რომელიც მის გულში ლამზრად ენთო...

არასოდეს იგი ყველა ამ ბედნიერებას ისე ღრმად არ დაფიქრებია, როგორც ახლა! არასოდეს მის უჩრდილო ყოველდღიურობას ისეთი სიტკბო არ უგრძნობინებია მისთვის, როგორც ახლა, მატრებლის თანჯრიდან მის მიგონება!



ძნელი ზედ თვალთან მიტანილი წიგნის წაქიხვა, გარკვეული მანძილი საკირო.

ოთარს ახლა სწორედ ის მანძილი ეკირა წიგნიდან, თავისი გუზინდელი დღიდან, და კითხულობდა მის გარდასვრულ ფურცლებში რაღაც საოცრად ტკბოს, განუთვარებელს, კი არ კითხულობდა—ხელახლა გრძნობდა, განიცდიდა. იგი ახლა თითქმის მიჰყვებოდა მისსავე ნაკვალავს, ჰკრფოდა მასთან, იმ გუზინდელ ოთართან ერთად, მიწდენის ყვავილებს, ეტიტინებოდა შშობლებს, გატაცებთ დახაროდა წიგნს, წინ ედო რვეული, ხელთ ეყვრა ფანქარი თუ საწერკალამი, ეხარებოდა წიგნის სიტკბოს, ცოდნის წყაროს, დააქუნებდა ვეღად უხელო ცხენებს, მხარულთ ჰჰვეთდა მტკვრის მოღოვლივე ტალღებს, იყო გატაცებული ფეხბურთელი, აუცდნეული მსოფლიელი... იგი ახლა ხედავდა თავის თავს სწავლაში, შრომაში, ოჯახში, სკოლისა და უბნის ამხანაგებში, განიცდიდა იმ პირველ სიამაყეს ნაცრისფერი კომპანიონული მილითის მიღებისას განცდილს; მიჰყვებოდა იგი თავისი ოცნების გახსნა და არაფრის წინაშე არ იხვედა არჩეული გზიდან.

— წინ, ფროსონოცნებანიო სიპაუტევი!—მოსძახობდა მის საკუთარი გული, —მაგრამ თუ უფროხილდი, თუ დავეცი, თუნდაც დაპაჰარო ყველაზე წყეთისი, რაც ბუნებამ მოგანიჭა—სიცოცხლე—სანანებელი არ არის, რადგან იგი შეწირული გეძენება იმისათვის, რაც ჩვენთვის არის, და რისთვისაც ჩვენ ვარსებობთ—სამშობლოსათვის.

2

„დიდებუვე! დედის უბესავით ტკბილი დიდებუვე! ნაცნობი უბანი, ნაცნობი სახელები და ქუჩები... ნეტავ გამაძლო თქვენი ცქერით...“

მაგრამ მატარებელმა რატომღაც ახლა უფრო უმატა სვლას; თითქმის თანაურგანობის კაბუქს და არ სურს პრობლემა გაუღრმავოს მოგონებებით, ჩაუჭრება ნაცნობ ბაქანს, სახტად დატოვა წითელქუდიანი მორიგე, პატარა, ყვითელი აღმით რომ გამოსულა მის შესახვედრად.

თბილისი!

აბა ვინ ერთყვის ჯარისკაცს—საით მიდის, რომდენი ხნით, ან, მით უფრო, აქ, ამ შშობლური ქალაქის სადგურზე რომდენ ხანს დადგება მატარებელი!

სამებდრო-საზღვაო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა უფროსი ლეიტენანტ გოლოტენკოს ჯგუფი, ოდესისაკენ დისლოცირებული, ახლა თბილისის სადგურზე იდგა.

გოლოტენკოსა და მისი ჯგუფის თითოეული სხვა წევრისათვის თბილისი იყო ქალაქი—სადგურიდანვე ჩანდა—დიდი, ლამაზი, ორიგინალური ქალაქი, მაგრამ მათ

ინც ისეთი, რომელიც უნდა აიპრო, რომორც კიბის, საფეხური, რომ ზევით ახვიდეს.

კიბებზე ამსვლლოთვან ვინ შეჩერებულა და დაჰკვირვებია იმას თუ რა მასალისაგან, რომელი ოსტატისაგან, და როგორი ხერხით არის ვაკეთებული ის საფეხური კიბისა, რომელზეც წამით უდგას ფეხი, ვიდრე შედგეს საფეხურზე აინაცვებდეს?!

ოთარისათვის თბილისი იყო ყველაფერი—სუნთქვა, სიცოცხლე, სიყვარული. ძნელი იყო გოლოტენკო ამას მოხვდავარყო. ძნელია, თითქმის შეუძლებელია, იტკინო სხვისი ტყვილი.

ოთარი იდგა ბაქანზე იმათ შორის, ვისთვისაც თბილისი იგივე იყო, რაც უკვე გავლილი, ან გასასვლილი ყოველი დიდი, ოღონდ არამოზობიური ქალაქი, და თავს ისე გრძნობდა, როგორც სიზმარში, როცა შენი სიტყვა სხვებს არ ესმით, სხვებისა—შენ. და იტანჯები. გული ეკუმშებოდა, სუნთქვა უძნელდებოდა. ფუნქციონირის შორეული სილუეტი მთლად წყავდა და ათასი მოგონებით ენას უბამდა.

როდის და როგორ,—ორთქლმავლის ქმნავე გამოება—რა; მოიხედა—ორთქლმავალი მოეხსნათ მატარებლიდან, და ვგონების ეს გრძელ ჯერი იდგა, როგორც მიტოვებული იმამ, რომელიც მიმტოვების მოლოდინში დგას გაუნძრევლად და თვინიერად.

ოთარს სჭირდება სულ რაღაც ერთი საათი, დმერთო ჩემო, მეტი არა, რომ მოწყდეს ადგილს და, როგორც ეს მას ჩვეოდა ფეხბურთში, როცა შუამარბი იყო, თავბრუდამხვევის სისწრაფით ვეჭუროს იქითკენ, თავისი სახლისაკენ. გლდანის ქუჩისადმი, „ღინამოს“ სტადიონიდან სულ რაღაც მეორე-მესამე შესახვევზე, თვალის შეავლის თავის ეზო-კარს, მეზობლებს, ვადაცების დედას, მამას, ზოლო იქვე, მოპირდაპირე ეზოს ჰიჰოკართან თუ იდგება „ის“—მზრებით მიყრდნობილი ჰიჰოკარს, ნიკაბზე მარჯვენა ხელამოღებული, დაფიქრებული, თვალმოკაბებით ცრემლებისაგან, როგორიც დასტოვა იმ დღეს, შინიდან გაპარვის ეამს, და როგორიც საშუალოდ ჩარჩა მესხიერებაში,—მაშინ... მაშინ... მაშინ რას უქვია განშორება, თუნდაც საშუალოდ, ოღონდ ახლა, ოღონდ ერთი წამით მაინც შეავლოს თვალი...

მაგრამ ეს დალოცვილი მატარებელი რომდენ ხანს იდგომება ამ სადგურზე? თუ ერთი საათი მაინც, მაშინ იგი არავის არ შეეკითხება, გაეცწრაფება პირდაპირ სახლისაკენ, მაგრამ თუ ახლავა, თუ რაღაც ათიოდე წუთში დიდიერება?

— ჩხეიქი!—მოსმა ნაცნობი ხმა, ჩანდა გოლოტენკოსი.

— ჩხე-იქი!—გამივირა რომდენიმე ხმამ, ერთად შერწყემული.

წამსაც არ გაუვლია, რომ მზედრული სალაპით ვამოეკიმა გოლოტენკოს:

— მატროსი ჩხეიძე, თქვენი გამოძახებით გოლოტენკომ ნაბიჯი გადადგა მისკენ, ხელი მხარზე დაკრა, თავისკენ მიიზიდა, თვალზეში ჩახედა, შემდეგ მარცხენა ხელი წელზე გამოსდო, გაიანაირა:

— ასე დავაღონა შენმა ქალაქმა?

გოლოტენკოს ყველაზე სააღერსო სიტყვების დროსაც შუბლი არ გაეხსნებოდა, მუდამ დამღურებული, თითქოს გაბრაზებული კაცის სახე ჰქონდა, შესაძლოა ყვრილობთან ღრმა ნაკრილობივი სტოვებდა მის მიმართ ასეთ შთაბეჭდილებას. ამ კაცის გული სხვა იყო, სახე—სხვა. „ეს ჩემი ოდესის სამახსოვრო დამადა“,— იტყოდა ხოლმე ოდესის გათავისუფლებისათვის მიღებული თავის უცნაურ კრილობაზე, მაგრამ ამასთან არა-სოლდს არ გაიღივებდა.



— ასე დავაღონა შენმა ქალაქმა?

— არ დამაღონა, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო!— აშკარად იცრუა ოთარმა და შეეცადა მხიარული გამო-მეტყველება მიეღო.

— პირის თუ არ გამიტიტებ...—გამომტყველად ჩახედა გოლოტენკომ თვალგზში და ქული ოდნავ შეზღუბე ჩა-მოიფხატა,—მე თვით არ ვიცი დღომის დრო. შესაძლოა გადავსდეთ. კურსი ბაქოსკენ გვიყიარეს.—გოლოტენ-კომ საათზე დაიხედა და ჰკითხა:—შენსაზე რომელია?

— ცხრა და ოცი, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო!

— ცხრა და ოცი!—დაფიქრებით გაიპოროა გოლო-ტენკომ,—ათზე რომ აქ იყო!

— არის, ათზე აქ იყო, ამხანაგო უფროსო ლეიტენ-ანტო!

3

ვაგზლის მოედანზე გამოუსული კი არა, გამოფრენი-ლი ოთარისათვის მანქანაც რომ შეეთავაზებინათ, შე-საძლოა არც დათანხმებოდა. ახლა სისწრაფეში ყველა-ზე მეტი იმედი საკუთარი მუხუბებისა ჰქონდა. ტრამევის ვერ ენდობოდა, იქნებ საღმე დამდგარიყო და ლოდი-ნით გული გაეწყალებინა.

სწრაფად გადაკვეთა ვაგზლის მოედანი მაზრისაკენ, გავიდა ორჯონიკიძის ქუჩაზე, აგერ, ტრამევის პარკის დასასრულში ნაცნობი დიუბების ბალი, სტალინი, ბრძოლის ქუჩა. ერთი ჩასახვევი, ორი... საათზე დაი-ხედა. შვიდი წუთი გასულიყო. ოცდაცამეტი წუთი კი-დედგ მის განკარგულებაშია. აი გლდანის ქუჩაც... ეზო. როგორი მოულოდნელი სიხარული დაატყდება—დღდას; მამა, ვიცი, ცრემლს ვერ შეიკავებს.

— დედა, დედი!

ამ ხმას შინიდან არავინ გამოხმაურებია. სამაგიეროდ ეზოში ეთილით გამოცვივდნენ მეზობლები. „ოთარ, ოთარიკო, მეზღვაური ოთარი!“—გაისმის აქეთ-იქიდან. ოთარმა არ იცის, ვის მიხედოს, რომელს ჩამოართვას ხელი, ვინ მოიკითხოს. ამით რა იციან, რომ დრო ასე ცოტა რჩება.

იგი ბევრს ხედავს შავებში, წვერომწვებულს, იპათ შორის, ვინც ახლა გარს ახვევია.

— გაზრდილბარ, დავაეკაცებულბარ. ოთარ!—მხრებ-ში ანჯღრევს მას ბიძია კოლაი, კარის მეზობელი, უნდა მხიარული სახე მიიღოს, მაგრამ მოშვებული ქალბარა წვერი, რომლიდანაც თვალბიდა უჩანს, ამხელს მის ღრმა მწყუხარებას...

ადამიანების უფრო მკაცრი ვიდრე დალონებული გამომეტყველებიდან ჩანს, რომ ამ პატარა ენოსთვისაც დაუდგია ომს თავისი სისხლიანი თათი.

— აღარ არის ჩვენი მიტუშა, ბრეტის გვირი. უწყება მოუვიდა ამ უბედურს,—ეუბნება დედა სონია და, ბიძია კოლაის მიჩერებულს, შავი თავსაფრის წვერი მიაქვს თვალთან.

ეს—მიტუშა ავალიანი დაღუპულა. მაგრამ დედა სო-ნია თავისაზე არათურს ამბობს, მასზე ოთარს სხვისგან ესმის:



— ჯერ კიდევ ამოტზე ვტიროდი, ხომ გახსოვს ამოტი, შილო...

როგორ არ ახსოვს, მხრებზე კი არ შესვდაღობა?

— ... რომ ახლა ამოვარზე უწყება მოვედა—გმირის სიკვდილით მოკვდა აქა და აქა... სადა, ქალო?

— კურსთან, კრანსია პოლიანაში.

შორიახლო განმარტობით იღვდა იმ ორი ძმის მამა-ბებიანი ამბარტუმი, თითქოს ელოდა თავის ჯერს, მისთვის ცალკე როდის მოიცილიდნენ... მას სხვებში გასარევი, მწუხარება როდი აწვეს გულზე. მოკაცული, მთლად მხოტეული იქნება იგი ოთარს.

მოზარდების გუნდის უცვლელი მეკარე გივი ვაშაიძე ინვალიდი დაბრუნებული და საღდაც ქარხანაში მუშაობდა. ალიონა, სანა, კოგო, აგრეთვე ბრილის ველზე დაკეზულან...

„ოდა, მე შინ ვმჯდარიყავი?“—გაუფლდა ოთარს ფეტირა და იმის წარმოდგენამაც კი გამოუტყეველი სირცხვილი ავარძობინა, რომ იგი თავის ჯერს დალოდებოდა, სანამ თვარამეტისა გახდებოდა. და ახლა თავის საქციელში ყველაზე უფრო ცხადად, ვიდრე ოდესმე, ხედავდა სასებით სწორ არჩევანს.

ახლა ისეთი ატმოსფერო შეიქმნა, ოთარისათვის უხერხულად კი იყო ეკითხა, სად არიან ჩემიანებიო. ეს კითხვა ხომ არ ჩაითვლებოდა სულსწრაფობად და ყოველივე იმის არაღაგდებდა, რასაც ისინედა და ხედავდა, ხოლო თავისიანები კი არ ჩანდნენ.

— ოჰ, რა ბედნიერი ხარ, ოლია, რა ბედნიერი,— ჩაილაპარაკა თავისთვის ერთმა,—რატომ ამ წუთში აქ არა ხარ!..

— სად არიან?—თხელა მომენტი და იკთხა ოთარმა.

— ქარხანაში, შვილო, დედაშენი, ქარხანაში, ორ ცვლად მუშაობს. მამაშენი გზახეა,—უპასუხა რამდენიმე ხმამ.

— მამა გზახეა!—ჩაილაპარაკა ოთარმა მძიმედ და დამარცვლით.—მეც გზახე ვარ, მეზობლებო, გადაციეთ, რომ შემოვიტრინე, რომ კარგად ვარ, რომ ჩემზე არ იდარდონ!..

— ოი, ოთარი ჩამოსულა... ოთარი!..

ეს ხმა არ გავდა არც ერთისას. იგი ლიას ხმა იყო, ისევე ისეთი უჭრილა, სათნო, გულში ჩამწედილი, როგორც სკოლის მერხიდან ახსოვდა ოთარს.

— აჰ, შენც აქ, ლია?

— გარდობილხარ, მეცვლილხარ, ოთარი!..

ეს ისე შექანიჭურად იყო ნათქვამი, თორემ ლიას თვალში ახლაც ისეთივე იყო ოთარი, როგორც გაცილებდის დღეს—თითქმის ბიჭუნა, რომელსაც შეიძლება დაუფარავად მოეფერო, ოღონდ ეს მეზღვაურის ახალთ-ახალი ფორმა, მკერდგანთიერს და მხარბეკიანს რომ აჩენდა. ცოტათი კი უცვლიდა იქნა.

არც ოთარს შეუშინებია რაიმე ცვლილება ლიაში, ოღონდ შავი, გრუხა თმა თითქმის ისეთი ხუტუქი აღარ ჰქონდა, როგორც მაშინ,—უფრო სწორად და ტალღე-

ბად გადავევარცხნა; უკან, ნაწნავზე ბანტი არ ეკეთა; სახე უფრო მზემოკიდებული, ოდნავ გამბღარო, თვალები ისევე ისეთი მენტველი, თუქუნა, წყლიანი... კაბაც კი იგივე უცვა—ცისფერი შტაპელი-სა, ლურჯი, მრგვალი წინწყლბით... და მეტი ყავისფერი ჩუსტები.

— ისე, რაა...—გაურკვეველად უპასუხა ოთარმა გაზრდასა და დაღვაჯაკებაზე,—როგორ არის ჩვენი მეცხრე კლასი? როგორ არიან მასწავლებლები?

— სწუხან, ოთარ, შენზე, უფრო...—ლიამ ახლა თავი დახარა, მკერდზე გაღმომგებულ ცალ ნაწნავს დაუწყო წიწხა და შორცხვილად ჩაილაპარაკა,—ამაჟობენ შენით. დღეს გამოვართვი შენი გამოგზავნილი სურათი, მატროსის ფორმაში... გიხდება, იცი, ფორმა, გავაქაცებს. ის სურათი ჩვენ გახეთში ჩავაკართი, ხომ გახსოვს, მოსწავლის ხმაში... წერილი შენზე მე დამავალეს... მაწითლებს, იცი, ისეთი სიყვარულით გავქვს დაწერილი ხომარ... ხომ იცი, რა ხალხია! ბერტა, მით უფრო...

სათის ისრები კი მიისწრაფიან თისაყენ, უღმობლად ჩქარა მიისწრაფიან.

— ცაიტნოტში ვვარდები, ლია. მატარებლიდან ვარ. უფთებლი დამჩნა.

— როგორ, ოთარ, რა რჩები, ოთარი?

— არა, ლია, გზახე ვარ, შორი გზახე, ჯერ ბაქოსკენ, მერე ვინ იცის!..

— გზახე?—დაფიქრდა ლია, თითქოს ვადაწყვეტილება რამ უნდა მიიღოსო.

დაემშვიდობა ოთარი მეზობლებს. გავიდა ეზოდან. პირველ ლია ვაპყვა. ბრძოლის ქუჩაზე, გზახვარედინზე შედგნენ ისინი წაშით.

— ლია, ნახვამდის!

ოთარმა ხელი გაუწოდა, ლიამ არა.

— არა, ოთარ, ჩვენ ვაგზალზე შევხვდებით!

ოთარს არ შეძლო ეს სიტყვები გაეგო, იგი ლიას დაბნეულობას მიაწერა, მას ჩამოსართმევად გაწვდილი ხელი არ დაუშვია. ლიამ ეს ხელი, კაბუკური, მზემოკიდებული და ძლიერი, როგორც მის ახლა მოეჩვენა, პირველად ასწია და ნახად მიიტანა ლოყსთან, თვალთვალში გაუყარა:

— თავს მოუარე, ოთარი!



— ოი, ოთარი ჩამოსულა... ოთარი..



ოთარი გავიდა ეზოდან. პირველი ლია გაკვეა.

ამ სიტყვებით გაიყარა მათი გზა—ერთი ვაგზისაკენ მიისწრაფოდა, მეორე—ქარხანაში, იმის დღისაკენ, ვინც სიცოცხლის საუნჯედ დედასა.

კვლავ თუ შეიყრება მათი გზა ვაგზალზე, თუ დააცლის მატარებელი მათ ამ ბედნიერებას?

მაგრამ არ მინდა, ჭკიბიველო, ამაოდ გავლდინო: როდესაც ორნი—ერთი ხანშიშესული, მეორე სრულად ახალგაზრდა, ყმაწვილი ქალი—დაცემდნენ შიქანცულნი, ბაქანზე გამოვიარდნენ, შორეულ ჰორიზონტზე მოჩანდა სწრაფად მიმავალი მატარებლის ოდნებ მუქი სილუეტი.

ორივეს გულს თითქოს რაღაც უხილავი თოკი ჩასკიდებოდა, რომლის ერთ ბოლოს მძლავრად ეწყოდა იმ მატარებლის შორეული სილუეტი.

4.

— ნახე? ხომ ყოჩაღად არიან?—ჰკითხა გოლოტენკომ ოთარს, როცა დაძრული ვაგონის კიბეზე შებობღებული ბიჭი აზნაზაგებმა ბაქანზე აიყვანეს,—ვიფიქრე, მიტეხა პირო-მეთქი, თუმცა არ მოველოდი კი შენგან...

— ვეღარ,—უპასუხა აქოზინებულმა ოთარმა პირველ შეკითხვაზე, თითქოს მიმდევრო სიტყვები არც გაუგონიაო,—მამა გზაზე ყოფილა, ორთქლმავლის მეგამქანია, დედას ცვლა გააღუბამს, ქარხანაშია, შედღუნქტში. ბედი არ მქონია...

გაქანებული მატარებლის სარკმლიდან ფუნქიკულორი—თბილისის ეს ნიშანსვეტი—ნელ-ნელა იხვევდა მკრთალ ბურუსში, სულ უფრო და უფრო ეფარებოდა თვალს; და უკან რბებოდა მშობლიური ქალაქი.

ვაგონის კუთხეში ვილაპნე ვარმონი გაქანმა. დაიარხა ნაცნობი, დამაფიქრელი მელოდია და მას სტიქიურად აჰყვა საყვარელი მეზღვაურული: „პროშაი, ლუბიმი გოროდ, უზოდემ ზაეტრა ვ მორგ“...

რა ემშველებოდათ ადამიანებს, მძივებ ვან. ცილირდნ ვაშორრთვის უნარი რომ არა ჰქონდეთ! ოთარი ახლა განახლებული ვანწყობილებით ჩაერთო მგზავრულ ცხოვრებაში, და ამ მზამწყუბილ სიმღერაში მოისმოდა მისი ოდნებ დამოხებული, კაბუქური ხმაყ:— „მშვიდობით, საყვარელო ქალაქო!...“

იმ ღამეს დიდხანს იღვავ მატარებელი რომელიდაც პატარა საღვურზე. დროდადრო ჩაიშურდ ულ ებდნ ეშლონები და ღია სარკმელში ტოვებდნენ ბორბლების მონოტონური ტუქტუქის ხმას. სამგზავრო მატარებლისათვის ყველაზე ნაკლებად ეცალა აქ რკინიგზას მას ყველასათვის უნდა დაეთოლა და ეტია გზა.

მეორე დღე მშველი სიციბო შემოიღვა. გულისგამწყალბელი უდგვილო და უდროო ვაგრებებით, ხოლო როცა გზას დაუთმობდნენ, თავაწყვეტილი ქროლით, გაგორც იყო, მატარებელი მიუახლოვდა ბლაჯარას და გაჩერდა შორიახლო, ეტყობოდა, აქაც უდავგვილოდ.

მოწყურებული, წყალს დანატრებული მეზღვაურები, სიციბო ვათანგულები, ჯგუფ-ჯგუფად ეწებობდნენ ვაგონიდან კიბეზე თითქმის ფეხის დაუყარებლად და ვარბობდნენ ოჩანისაკენ, რომლის ვასწვრივაც ორთქლმავალი დამდგარიყო. მას უკვე აელო წყლის მარაგი და ახლა უზარმაზარი ოჩანის დიდი ძაბრიდან, ლიანდაგებს შორის, ქვაფენილზე, დვართაქვითი ტლაშუნოდა ეს-ეს არის შეკავებული წყალი.

ოთარი წელზევით ტიტველი მიიჭრა ოჩანთან, მოხრახნა საეკეტი, დაიხარა და მოემზადა მოხერხებულად შედგომოდა წყალს.

მან იგრძნო, რომ ზურგზე ვილაციის დიდი, ცხელი, ოფლიანი ხელი ედო, მაგრამ ყურადღება არ მოუქცევია—განა ცოტანი არიან მეზღვაურები, მისი აზნაზაგები, რომლებსაც ასევე მოხერხებულად სურთ შეუდგნენ ცივ წყალს; და ელოდებიან რიგს?

— რა, ბიძაჩემო, წყალი ხომ არ გენანება მეზღვაურისათვის?—შესძახა უცნობს ოჩანთან ეს-ეს არის მოახლოებულმა გოლოტენკომ და კიტელი შეისხნა, თვითონაც მოემზადა ოჩანქვეშ შესაღვამად.



კაცი, რომელიც ოთარის ზურგს უკან იდგა, რკინიგ-  
ბელის ფორთოში, საშუალო ტანისა, ჯემუბი—შეგვერდმა-  
ნი ბუნებით თუ ორთქლმავლის მურისა და მახუთისაგან  
გაწვენილი—არც გამოხმაურებია ვოლოტენკოს, იდგა  
მოთმინებით, ერთნაირ მდგომარეობაში.

— რა, წუნანდელივით ვიდვ დიდხანს ვიდგომებით?—  
ჰკითხა უტინოს ახლა მეორემ, რომელსაც მზისაგან ერთ-  
კეტი ტუჯი ასპრობოდა და ფენა-ფენად ეყიდა აქა-იქ.

— უპ, შენი სულისა! როგორ გეგვრ...—სიტყვა არ  
დაემთავრებია ონკანიდან გამოშლ ოთარს, როცა გა-  
მართა და პირდაპირ შეეჩხა იმ უტინოს.

— დემართო, ჩემო!.. მამა, შენა?!

დღახ, ეს იყო ოთარის მამა, ასლან ჩხეიძე, იმ ორთ-  
ქლმავლის მემანქანე, რომელსაც თბილისიდან მოჰყავდა  
მატარებელი.

არც მამას, რომ მოჰყავდა შვილი, არც შვილს, რომ  
მოჰყავდა მამას, არც ამ განცვიფრებულ მეზღუდურებს—  
ოთარის ამხანაგებს, ამის შესახებ არ შეეძლოთ რაიმე  
ცოდნობები.

და აი, ავეტ, საღდაც ბაქოს მისადგომებთან შეგ-  
დნენ ისინი ერთმანეთს—ერთი მხიარული, ცაზე ვარს-  
კვლავებს რომ ებოტინებოდა, მეორე დინჯი, დაფიქრე-  
ბული, არ იცოდა სიხარულისაგან თუ მწუხარებისაგან—  
თავგზაბანუელი.

— საით ავეტ, ოთარ, საით არის, ბიუო, შენი გზა?!—  
ჰკითხა მამამ.

— ავეტ, მამა, კასპიის ფლოტილიაში ვარ გამწესე-  
ბული...—იქრუ ოთარმა, —ნუ, ნუ, მამაჩემო! აი ის ჩე-  
მი მეითურია, გოლოტენკო გვარად, გახლიდა რომ არის...  
არ შეგაძნისონ, შე კაცო, ვითომდა არასოდეს თოფი  
არ აფეწოს! სირცხვილია, მამა, შენ გენაცვალე!..

ბარემ არც ასლანს უნდოდა, ამიტომ ნებით თუ უნებ-  
მივით იძინებოდა, ოთარის ისე ანჯღრევდა და მაგ-  
რად იხუტებდა მკერდში, ისე ეალურსებოდა, თითქოს  
შეგბდა უნდა მისიო, მაგრამ ცრემლი კი მაინც სდიოდა  
და სდიოდა თვალთაგან.

— კასპიის ფლოტილია, მამა, შენ გენაცვალე! ა,  
ავეტ, გინდ სახლში გეჯდ, ავეტ, კასპიის ფლოტილია!  
ასლანი იციანოდა და თვალღვს იწმენდა, იციანოდა,  
რომ ბავშვი არ დაელონებინა.

— აბა, ცვლაზე იყო დღდაშენი, ოთარ? ვერ ნახე?  
ასეა, ერთი ექთანი გადღის ამოღენა ქარხანა! ვინც

თითის შეგვევა ისწავლა, ფრონტზე მიიქაჩება, ან პოს-  
პიტალში.

როდესაც ოთარის ვაგონი ახსნეს, ასლანს რაღაც  
ელდამ დუარა მთელ ტანში, ხოლო როცა იგი ეშე-  
ლონს მიაბეს, და ეშელონმა კურსი იილო იქითკენ, რომ  
მას „კასპიის ფლოტილის“ სენცი არ უდლიოდა, ასლანი  
ერთბაზად ვარდაქენა.

— რა იყო, ასლან, რამ დაგაფიქრა, ეინაღმ ორთ-  
ქლმავლის ბორბლებმა ჩავთირის, შე კიი კაცო!—მხარ-  
ზე ხელი დაჰკრა და შეანჯღრია ასლანი მისმა თანაშემ-  
წემ, შუახნის კაცმა, ყოველთვის სხვის გამხნეებას  
ჩეულობა.

— არაფერმა, ჩემო შპკრო!—გამოერკვა ბურანიდან  
ასლანი,—სანამ ჩემთან იყო, ვზრუნავდი, ვერ დავშალავ,  
წასვლა არ გეტუფნოდა, პატარაა. ახლა, რაკი ამ ძნელ  
გზას გაუღებ? ლაჩარი თუ იქნა, მომიკვდეს გმირს კი—  
ჩემი სიცოცხლე შეეწიროს!

5.

ბრუნდებოდა ვაგზლიდან ოლია მოთენთილი, დალო-  
ნებული არა უფრო იმიტომ, რომ ოთარი წავიდა,—წა-  
ვიდა იგი სამშობლოს წინაშე ვალის მოსახდელად და ეს  
დღეს ეამაყებოდა,—არამედ იმიტომ, რომ ვერ შეხვდა  
წასვლის წინ, ვერ ჩაიკრა გულში, დედლის სითბოთი  
ვერ დაულოცა გზა შორის მიმავალ თავის ერთას.

როცა დედა ამ ფიქრებში იყო, ლია თავისს მისცე-  
ბიდა, თავის თავს საყუთარი გულის სასწავტორს წინა-  
შე აყენებდა: „შემეძლო თუ არა შემიტყობინა ადღდე-  
ბული მდინარის დინება, წაფარებოდი მას? კი, წაფდე-  
არე, მაგრამ მან მძლავრად გადადგინა და ახლა ქვიშაზე  
დარჩენილა ვეფარ, რომელსაც მხოლოდ ისღა ძალე  
მიმს, გულის ერთოვლით ვადღენო თვალი მის მშვიდო-  
ბიან დინებას...“

ეს მდინარე, სტიქიად წამოსული, ოთარი იყო თავი-  
სი განწყობილებით, გადაწყვეტილებით, მისწრაფებით.  
სათავეს ეს მდინარე ომის დასაწყისში იღებდა. და ლია  
ყველაზე უფრო, ვიდრე სხვა ვინმე, ხედავდა როგორ  
სწრაფად დიდდებოდა ის, გადმოდიოდა კალაპოტს და  
სტიქიად იქცეოდა. ოთარი თანდათან, ძნელი საცნობი  
ხტეობად ელსათვის. ბუნებით გულმზიარული, დაუდგ-  
რომელი, მუდამ მოძრავი, ზოგჯერ ცქცქად ანცი, ახ-  
ლა დინდებოდა, გულთახრობილი და დაფიქრებული  
ხტებოდა. ახლა უკვე არც სპეგებისთვის იყო შეუშენე-

ლი, ოთარი იგი ბავშვო-  
ბიდან პირდაპირ „დი-  
ლობაში“ აყუთებდა  
„ნახტომა“, გვერდს უვ-  
ლიდა რა სიკვებუქს.  
ოთარში მომხდარი ეს  
ცვლილება კარგად გა-  
მოხატა ერთმა თანა-  
ლსელმა გოგონამ. მას



უცნაური სახელი ერქვა—ბერტა. ლაბარაკი უცნაური იცოდა, უყვირდა, საიდან მოჰქონდა ასეთი სიტყვები. კორდლიანი სახე ჰქონდა, მაგრამ როგორღაც უხდებოდა ეს. ცოტას მოიჭორიანებებდა, მაგრამ ბორბტი არ იყო.

— მეზობლობასა და თანაკლასელობაზე მეტია, შენი ჰერბიზე, ლიასა და ოთარის მეგობრობა!—გადაუჭრა მან ერთხელ ამხანაგ გოგონას ერთად მომავალი რომ ნახა ისინი.

— რას არ იტყვი!—მოუწვა ენა გოგონამ ბერტას,— ერთად არ დახადებულან, თორემ საბავშვო ბაღიდან ერთად იზრდებოდანი..

მეზობელი სკოლის შენობა, ბრძოლის ქუჩაზე, ჰოსპიტალს ევაკა. ამ მოსპიტალში შეფოხა ჰქონდა აღებულ იოთარის სკოლას. ხვალ, კვირას, მეცხრე კლასს უწევდა მორიგეობა საშუალო მოსპიტალში. უკვე ნაყოლი იყო დაჭრილებისათვის წიგნები, ჟურნალები. გოგონებს საღამოს უნდა გამოეცხობოთ ტკიპილულნი, ხოლო ცოტა უფრო ადრე, ბაზრის დახურვის წინ, როცა გლეხებს ეჩქარებთ, იადად უნდა ეყიდათ ხილი. შეგროვილი ფული ლიას ებარა. ვაკეთილებს შემდეგ სკოლაში რჩებოდა სიმებიანი ორკესტრი გენერალური რეპეტიციისათვის. მაგრამ იყო გუნდი, თერთმეტი კაცისაგან შემდგარი, რომელსაც ყველაზე მეტი საზრუნავი ჰქონდა გაჩენილი იყო ფეხბურთის გუნდი, რომელშიც ოთარი შეუცვლელ შემაზრად ითვლებოდა. მომავალ კვირას იგი უზომელი სკოლის გუნდს უნდა შეჯიბრებოდა. გადაწყვეტი ვაჩივრე ამ საღამოს უნდა ჰქონოდათ, რადგან დინამოელი ტელისათვის ნათხოვნი იყო—დასწრებოდა, სხვა დროს კი ვერ მოიცილდა.

— აბა, ოთარი, ხომ იცო, ექვსსაათზე, მუშტადის ბლოში..

ეს ისე, უბრალოდ შეახსენა გუნდის კაპიტანმა გიგამ, — მუდამ ისე მოლაბარაკემ, გეგონებოდა, ნარბენიაო, — თორემ დაარჩებდნენტი ცი იყო.

— ვერა, გიგა, ვერ გამოვალ! — მოუჭრა მტკიცედ ოთარმა. გიგას თითქოს სთვი წყალი გადაესხა.

— ხუმრობ? საქმეს ში?

— ვერა, ვერ გამოვალ. — გიმეორა ოთარმა. — გვეყავს, ხომ ავერ ვახტანგი.

— მიზეზი?

— დრო არა აქვს, ექსტრადედ აბარებს გამოცდებს დიდობაზე! — თავი ამოჰყო სიდანლაკ ბერტამ, მიუგლო მათ ეს სიტყვები და გაჰჭრა.

გიგა ამ სიტყვებს ვერც გაიგებდა, ლიამ იცოდა ამ სიტყვების აზრი.

საქმე ის იყო, რომ სწორედ წინა წუთებში მოუტანა ლიამ ოთარს ისეთი ამბავი, რაც გუნებსა უშხამავდა ოთარს: აქეთ რომ მოედოდი, შენს ენოში ფოსტალიონი შედიოდაო.

შინ ოთარს უსიამოვნება ელოდა. მას რატომღაც ეგონა, რომ პასუხს კვირას მიიღებდა, როცა მამა გზაზე იქნებოდა, დედა ქარხანაში, მო-

რიგედ, და ამ პასუხს ვერაფერ გაიგებდა. ეს ფოსტალიონი კი რაღა მაშინ მოჩანალებულა, როცა ორეფენი არის, მე კი არა! — ფიქრობდა ბოლნისი ოთარე, ეგეშთა თავისი მისამართი — ფოსტა, მრეკიხანაშედეო, ვათუ საქმე გაფუჭდებოდა, ფიქრონათ — აქ რაღაც საეჭუამზავიო და პასუხზე არ ელოდებიანო.

ოთარში რომ შეიხედა, თვალი აუჭრელდა. მაგიდას უჯდა დედა, ხელდნოთ თავი ჩაერგო, მისი დიდი, მსუქანი მხრები დროდლორო თაროდა. მას ქალბები ეხვიენენ. არაფერს არ ამბობდნენ, დღემუბუნლი იყვნენ. „წუთუ ჩემს გამოა ეს ამბავი?“ — გაუფლვა ოთარს. კითხვაც ვერ გახედა. ახლა შენიშნა, რომ საწერ მაგიდასთან განმარტობით იჯდა მამა. თვალით ერთ წერტილს მისწერებოდა, წინ ორი კონვერტი ელო, გახსნილი. მარჯვენა ხელის თითებს მონაცვლეობით უტაცუნებდა მაგიდის ძვიდეს. ოთარმა იცოდა მამის ეს მანერა — იგი ასეთ დროს ალღელებული იყო.

ღედს უწყება მოსვლია. ძმა დალუბია ფრონტე, ბრიანსკთან.

ოთარს ხმა არ ამოუღია. თვალზე ცრემლი არ მოსდგომა. ეს უფრო სამიმო იყო, მწუხარება გამოურყავი რჩებოდა.

მეზობლები ნელ-ნელა გაიკრიფნენ, დაუთმეს ოჯახს, დარჩენილიყო მერთო თავის მწუხარებისთან. ასეთი რამ ამ ეზოში უკვე ბევრმა გამოცადა.

როგორი სამიმოც უნდა იყოს ამის თქმა, მინც ოთარის შეკუმშული გულს რომელიღაც კუნჭულში მცირედ შევების ნაწერწალი კბოთოდა — დედისათვის მას არ მიუყვებია ეს ცრემლი.

რასაც ელოდა, ის არ ყოფილა!

იგი მისუჯდა გვერდით ხელგანში თავგარულ მოკვითინე დედას. თმაზე ნაზად გადაუსვა ხელი.

— და ახლა ესეც! ღმერთო ჩემო! — ასწია ახლა დედამ თავი, გაშალა ხელები, ჩაიკრა გულში დედისერთა. ეხვევა, ეალერსება, ჰკოცნის შუბლზე. — რას მივთვებს, რას!..

მამა შეიშმუნა. თავის მავნით მიუბრუნდა, ის პატარა ქალბები აიღო, მანქანით ნაბეჭი.


— მიაა, — დაიწყო მან თავისიკებურად და, თითქოს თავისთვის, შეუდგა კითხვას, ხმადალბა, დამარცვლილი, რომ იტყვიან, ხაჯას-მით: — თბილისი, გლდანის ქუჩა 20. ამხანაგ... ჰმ, ამხანაგ, — ირონიით გაიმეორა მამამ, — ჩხებეს, ოთარ ასლანის ძეს!..

— ოთარს გააყრეოლა.

— გაცნობებთ, რომ, — განავარძობდა კითხვას მამა, — გიგის სატანკო სკოლაში ამჟამად მიღება არ არის... ა? არ იშლი შენსას? — მიუბრუნდა ახლა იგი ოთარს, —







შენი დრო რომ იყოს, შემტკცხეობდა კიდეც, ზინ მუღარიყავი, მაგრამ პატარა ხარ, ბიჭო, პატარა... რამდენინსა გვეყვს, ოლია, ახლა ეს ბავშვი?

— თქვენსების, დედა ენაცვალოს!..  
ოთარის ჩანაფიქრი ახლა უკვე გამხეილი იყო.

ერთხელ იგი, თანაკლასელ თენგიზ გოლაშვილთან ერთად კომკავშირის სტალინის რაიკომიდან, სადაც ისინი იყო მიმავს კომკავშირული ბილეთები, სამხედრო კომისარიატში გეშურა. კომისარი იყო საბჭოთა კავშირის გმირი გახოიკე, ჰრილობის შემდეგ ფრონტიდან დაბრუნებული.

შეაღებენ კაბინეტის კარს, კომისართან ვინეა, ვერ ბედდვენ შესვლას. ერთხელ კიდეც სკადეს კარის შუღება, ახლა თვით კომისარი შეეფეთა მიულოდნელად, გამოდლოდა ოთახიდან. ათავლიერ-ჩათავლიერა ისინი, კითხვა:

— თქვენ რა გინდათ!  
ა, მობე ახლა და ასე ხელდახელ უამბე ამ კაცს ამხელა ამბავი. ისიც ცალი ყურით როცა გისმენს.

— ჩვენ...—დაიწყო თენგიზმა და ოთარის გადახელდა, თითოს უნდა შემოღვეულ გამხედლობის დაესტისოსო. ეს კომისარი კი აბლენ ხანს როდი იცდის, გადადგა კიდეც ნაბიჯი.

— ჰო, რა ჩვენ!..—აუწია ხმას კომისარმა.  
— ფრონტზე გვინდა წავიდეთ!—ერთხმად უპასუხეს ბიჭუნებმა და იგრანეს, რომ მძიმე ტვირთი მოიხსნეს.

— ამათ დამიხედე!—მიუბრუნდა კომისარი თანმხლებ ოფიცერს და შეჩრდა, — წადით სახლებში, რძე სვით!—და გაუღდა თავის უხს.

ახლა ბიჭუნები წინ გადადგობნენ.

— აი, ჩვენ კომკავშირელები ვართ!

— წადით, რომ ვთხარით!—დაუტატანა კომისარმა და ჩქარა ნაბიჯით გეშურა ეხოსაკენ.

კარგე ხანს ხმა არ ამოუღლიათ. როცა ქუჩაში გამოვიდნენ, პირველად თენგიზმა დაარკია მუდროგება:

— გინახავს აქამდე გმირის ვარსკვლავი?

— ოთარმა არაფერი არ უხასუხა—ჟასე პატარაა და რამოდენა ამბავს კი გამობრავს!—გაუღოდა მას.

მთელი ეს ამბავი და კიდეც სხვაც ოთარის ცილობიდან—მოხვედრილიყო ფრონტზე, იცოდა ლამა.

— ოთარ, დღეები, მოგე შენი დრო, ვინ გინდა გავკვიროს!—უთხრა ლიამ, როცა უკანასკნელად ოთარმა კიდეც ერთი საიღუმლოგება გაანდო და ფიცე ჩამოართვა არ გაემიოლა.

— არც ეს გინდა უთხრა დღეს? მეც უნდა ჩამადენინო დანაშაულში..

— ოჰო-ჰო, რა გრომოვა იქნებოდი ახალგაზრდა გვარლიანი?!—არ დაამთავრებინა სიტყვა ოთარმა ლამ იწყინა ეს დაცინება, თანაც ასეთი ტონით ლაპარაკს არ მოელოდა ოთარისაგან.

— მაგას რად ამბობ? მე იმას გეუბნებები, რომ დაუცადო ასაკს!  
მაგრამ ასეთი ჰკუვის დარიგება უკვე გვიან იყო, არც გასჭრდა.

იმ ორმოც ახალგაზრდას ზორის, რონელიც თბილისის კომკავშირმა სამხედრო-სახლგო სკოლაში გასატყზენად შეარჩია, იყო ოთარი, ყველაზე უმცროსი იმ ორმოცთაგან. ისინი ამაღამ მიემგზავრებოდნენ მატარებლით. თბილისთან გამოთხოვებისათვის შესაკარებ პუნქტად დანიშნული იყო ფუნიკულორი.

სადამოედგობდა, როცა ოთარი ლიის დაენწვიდობა. ლია თავის ჰეპართან იღვა, მარცხენა მხარით კარის ძვირის მიხერნობოდა, ნიკაპქვე მარჯვენა სული ანოელეო, ოდნე თავდახრილი იღვა და იღმეზბოდა, ნეცრამ თვლები დანაშული ჰქონდა და ასე ნზერით მიაცილებდა შეგობარ გზბუკს შეუცნობელ გზაზე. მას ეცისრა უცნაური როლი: თავი ისე სქეროდა, ვითომ არაფერი იცოდა. აი, მოვა დედა ხვალ დილით ჰარხნიდან, ლამის ცველივს; დაბრუნდება გზიდან მამაც. შეილი კი ზინ არ დახედებთა!..

\* \* \*

„საკეარელო მშობლებო! მამატრეთ. არ წეგმელო სხვანარად. თქვენ, სულერთია, არ განიშვებდით. ძებნას ნუ დაბიწყებთ. კიდეც რომ მოწნახთი, არც არავინ დამაბრუნებს. გაივლის მცირე ხანი და ყველაფერს წეგატყობინებთ...“

როდესაც მოვრე დილას შინ დაბრუნებული მშობლები ცახხახით, თრთოლვით კითხულობდნენ ამ ბარათს, ოთარის კლასში სამარისებურ სიჩუმეში გაისმა:

— ჩხიციძე!

ეს—გეოგრაფიის მასწავლებელი იძახებდა ჟურნალიდან. ჟურნალში ოთარი აღმოებრით ბოლოში ეწერა და ამიტომაც გვარი „ჩხიციძე“ ქეთო მასწავლებელმა უკვე სკამიდან წამომდგარმა ამოიძახა.

— არ არის ჩხიციძე?!—თვალთ მოავლო მან კლასს. პასუხი არ იყო.—მე კი დღეს გამომიხებნას ვუპირებდი. მამ, დღეიწყით,—მიიბრუნა მან თავი კედლისკენ, რომელზეც დანდისი რუკა იყო გაკრული.—გაკვეთილად გვაქვს—ბალკანეთის ნახევარკუნძული, დუნაის სახელმწიფოები,—მასწავლებელმა რუკა შემოიხაზა ჯობით.—ვის სურს?

(ბ ა ბ რ კ ძ ე მ ლ მ ბ ზ შ მ ი მ დ მ რ შ ი)



# ყნგროდის პრობლემები



სწრაფად აღმოჩნდა, რომ საქართველოში არსებობდა მთელი რიგი დარღვევები, რომლებიც საჭიროებდა მთლიანად განსწავლას. მათგან უმთავრესი იყო: 1. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლა დასრულდა...

ფოტო № 1




გაყვანილი ბავშვები ხშირად დატოვდნენ ცივ ღამეებში, რადგან მშრომლები არ იყვნენ დაინტერესებულნი მათი მოვლაში...

ფოტო № 4



ეს ბავშვები ცდილობდნენ დაეხმარებინათ მშრომლებს, რომლებიც იყვნენ დაღლილები და უძუნავი...

ფოტო № 3



3

7782



ფოტო № 3330  
2. ენკელისა და  
მ. თურქანისა

მშრომლები კარგად იყვნენ დასწავლნი, მაგრამ მათ არ იყვნენ საჭიროები მათი მოვლა და დახმარება. მათ უნდოდათ, რომ მათი შრომა შედეგს გამოეყვანა...

წინააღმდეგობა და მშრომლების მიმართ მათი უფრო მეტი დახმარება...

ფოტო № 6



2

მთლიანად დატოვებული ბავშვები, რომლებიც არ იყვნენ დაინტერესებულნი მათი მოვლაში...

ფოტო № 5



7

მ. თურქანისა და ენკელისა... მათი შრომა შედეგს გამოეყვანა...

ფოტო № 2

მშრომლები კარგად იყვნენ დასწავლნი, მაგრამ მათ არ იყვნენ საჭიროები მათი მოვლა და დახმარება...

ფოტო № 1



8





# მაიაკოვსკი და პიონერები

დიდი საბჭოთა პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი გულწრფელად შეპყრობადა პიონერების, ოქტომბრელებისა და ყოფილი მეღვარი, მოწინავე ბავშვის კარგ ყოფაქცევას, სინამაყეს, გამშრებლობას და პატრიოტიკულ საქციელს.

პოეტი აგრეთვე გულდასმით ადევნებდა თვალსუფრს კამპიტალისტურ ქვეყნებში მცხოვრები ბავშვების უტანელ მღვდლობობას. ერთხელ ჩეხოსლოვაკიაში მაიაკოვსკი შეხვდა ჩემ პიონერებს და მეგობრულად ესაუბრა მათ. მაშინ ჩეხოსლოვაკია კამპიტალისტური სახელმწიფო იყო, დღეს იგი თავისუფალი, სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკაა, რომლის მშრომლები სოციალიზმს ამყენებენ.

თავის მოთხრობაში: „ჩემი პიონერი“ ვლადიმერ მაიაკოვსკი გვიამბობს პიონერთა მუშაობის შესახებ იმდროინდელ ჩეხოსლოვაკიაში.

აი, პოეტი პრაღაშია. საღამოთი იგი სახალხო სახლში გამოვიდა. აკეთიხულობ ლექსებს და თანაც დარბაზს

ბაზს ვთვალთქრებ, — მოგვითხრობს მაიაკოვსკი, — ბავშვებს ვხედავ, მაგრამ პიონერები არსად ჩანან. არცერთი წითელი ყელსახვევი არა ჩანს. ლექციის შემდეგ ჩემთან ერთი ამხანაგი მოვიდა. თან ორი ბიჭუნა მოჰყვა. გახარებულმა ვკითხე ამხანაგს:

- შენი პიონერები სადღა არიან?
- ორმა ბიჭუნამ ერთად მიპასუხა:
- ჩვენა ვართ პიონერები...
- მაშ, თქვენი ყელსახვევები სად არის?

ერთმა მათგანმა ჯიბეში ხელი ჩაიყო და დაქუქვილი წითელი ყელსახვევი ამოიღო.

— აი, ყელსახვევი. მას მხოლოდ შინ ვიკეთებთ. გარეთ რომ გამოვდივართ, ჯიბეში ვინახავთ, რადგან პოლიციელები გვართმევენ. ჩვენცა და ყელსახვევებსაც ბევრი გაკითხვის გადატანა გვიხდება... ერთხელ მე და ჩემი ძმა მუშათა თეატრში წვედიით. სექტაკლის შემდეგ მოვედივართ, მე ყელსახვევი მიკეთია, ძმას კი ლურჯი ხალათი აცვია. უცბად, საიდანაც პოლიციელი დაგვაღდა თავს. უბანში წამობრძანდითო,

